

ღვინის  
ეროვნული სააგენტო



NATIONAL  
WINE AGENCY

„05“ 03 2014

№ 9/05-05



ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“  
წერილის რეგისტრაციის № 58  
თარიღი: 7 03 2014 წ.

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS)  
დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

თქვენი 2014 წლის 26 თებერვლის N167 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ:

- „რთველი-2013“-ის ჩატარების ძირითად პრინციპები და მიმართულებები განისაზღვრა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 20 აგვისტოს #1090 განკარგულებით (თან ერთად);
- საქართველოს მთავრობის 20 აგვისტოს №1090 განკარგულების შესაბამისად მევენახეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების ყურძნის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით დადგინდა ღვინის კომპანიებზე გასაცემი სუბსიდია, შემდეგი ოდენობით: 1 კგ რქაწითელსა და კახურ მწვანეზე – 40 თეთრი და 1 კგ საფერავისათვის – 25 თეთრი.
- 2013 წელს ღვინის კომპანიებზე გაცემულმა სუბსიდიის თანხამ 32 046,5 ათ. ლარი შეადგინა.
- კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში ღვინის კომპანიების მიერ გადამუშავებულია 92 773 ტ. ყურძენი, მათ შორის 62,1 ათასი ტ. რქაწითელი, 2 ათასი ტ. კახური მწვანე, 25,8 ათასი ტ. საფერავი და 996,1 ტ. ალექსანდროულ-მუჯურეთული. (ცნობისათვის: 2012 წელს რთველში მონაწილე 39 კომპანიამ ვაუჩერიზაციის პროგრამის ფარგლებში სულ გადაამუშავა 52 200 ტ. ყურძენი.)
- 2013 წელს გადამუშავებული ყურძნის რაოდენობა სარეკორდოა უკანასკნელი 20-22 წლის განმავლობაში, ისევე როგორც 2013 წლის 12 სექტემბერს დაფიქსირებული დღიური გადამუშავების მაჩვენებელიც – 4506 ტონა.
- პირველად რთველის ისტორიაში, ყურძნის ჩამბარებელ თითოეულ პუნქტში რთველის საკოორდინაციო შტაბის მიერ მივლინებული ოპერატორი სპეციალური ტექნიკის საშუალებით ახორციელებდა ყურძნის მიღების კომპიუტერულ აღრიცხვიანობას.
- ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველოს თანამშრომლების მიერ შემუშავებული პროგრამა რთველში მონაწილე მევენახეების (ფიზიკური პირების), ღვინის კომპანიების, გადამუშავებული ყურძნის რაოდენობისა

და ყურძნის ჯიშების კომპიუტერულ „ონლაინ“ რეჟიმში აღრიცხვისა და სისტემატიზირების საშუალებას იძლევა.

- პროგრამა საშუალებას იძლევა, ყურძნის ჩამბარებელ თითოეულ პუნქტში ოპერატორმა ელექტრონულ ბაზაში შეიყვანოს სრული ინფორმაცია ყურძნის ჩამბარებელი ფიზიკური პირისა და ყურძნის მიმღები ღვინის კომპანიის შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია ჩასაბარებელი ყურძნის წარმოშობის ადგილის (სოფლის), რაოდენობის, ჯიშის, და ფასის, მათ შორის სუბსიდიის თანხის ოდენობის თაობაზე. ადგილზევე ხდება აღნიშნული ინფორმაციის მიღება-ჩაბარების აქტის სახით ამობეჭდვა და მის სისწორეს ხელმოწერებით ადასტურებდნენ ყურძნის ჩამბარებელი ფიზიკური პირი, ღვინის კომპანიის, ღვინის ეროვნული სააგენტოს/სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილი პირები. თითოეული მიღება-ჩაბარების აქტი აღჭურვილია სპეციალური შტრიხ-კოდით და პროგრამის მიერ მიცემული უნიკალური ნომრით.
- ამავდროულად, კომპიუტერში შეყვანილი ინფორმაცია ინტერნეტით გადაეცემოდა ღვინის ეროვნული სააგენტოს ცენტრალურ სერვერს, რაც საშუალებას იძლეოდა რთველის საკოორდინაციო შტაბში „ონლაინ“ რეჟიმში მომხდარიყო ყურძნის ჩაბარების ყველა პუნქტიდან ყველა საჭირო ინფორმაციის მიღება და მათი გაანალიზება.
- 2010-2012 წლებისაგან განსხვავებით, სუბსიდირებას დაექვემდებარა 10 ჰა- და მეტი ფართობის ვენახების მქონე ფიზიკური პირებიც, რომლებიც წინა წლებში სახელმწიფოსაგან სუბსიდიის (ვაუჩერის) გარეშე რჩებოდნენ.
- 2013 წელს ღვინის კომპანიებმა ისარგებლეს სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეღავათიანი სესხებით;
- 2013 წელს სახელმწიფო საწარმოებმა რთველი-2013 წლის ფარგლებში შეისყიდეს 15,6 ათ. ტ. ყურძენი, რაც მთლიანად ჩაბარებული ყურძნის 16,9%-ს შეადგენს. კერძოდ:
  - სს „აკურა“-მ შეისყიდა 7,4 ათ. ტ. რქაწითელი;
  - შპს „გრუზვინპრომმა“ შეისყიდა 7,9 ათ. ტ. რქაწითელი და 0,3 ათ. ტ. საფერავი.
- რთველი 2013-ის ფარგლებში, ისევე, როგორც 2010-2012 წლებში, სახელმწიფო საწარმოების მიერ ყურძნის შესყიდვაზე დახარჯული თანხის შესახებ ინფორმაცია ღვინის ეროვნულ სააგენტოს არ გააჩნია, რადგან აღნიშნული საწარმოები არ წარმოადგენენ სააგენტოს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს;
- „რთველი-2010, 2011, 2012“-ის ძირითად პრინციპები და მიმართულებები განისაზღვრა შესაბამისად საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 აგვისტოს #1083, 2011 წლის 4 აგვისტოს #1596 და 2012 წლის 13 აგვისტოს #1598 განკარგულებებით (თან ერთვის);
- 2010 წელს ვაუჩერებზე გაიცა 4739,3 ათ. ლარი, 2011 წელს - 8721,8 ათ., ხოლო 2012 წელს - 14645,1 ათ. ლარი.
- 2010-2012 წლებში კახეთის რეგიონში ფიზიკური პირებისაგან მიღებული და გადამუშავებული იქნა:

2010 წ.	23 000 ტ.
2011 წ.	43 500 ტ.
2012 წ.	54 000 ტ.

- 2010-2013 წლებში სახელმწიფოს მიერ შესყიდული ყურძნის რაოდენობა პროცენტებში შესყიდული ყურძნის საერთო რაოდენობიდან:

2010	43%
2011	44%
2012	63%
2013	16,9%

- 2010-2013 წლებში ნატურალური ღვინის ექსპორტის თაობაზე იხილეთ თანდართული ცხრილი.

დანართი: 9 ფურცელზე.

პატივისცემით,



ლევან დავითაშვილი

თავმჯდომარე